ქალაქ ქუთაისში, სულხან–საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის
N47 ბინაზე, მოქალაქე ზაირა მაჩიტიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ზაირა მაჩიტიძის განცხადება /2011 წლის 15.09 N1499/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან–საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის N47 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ,,კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან–საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის N47 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ზაირა მაჩიტიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, სულხან–საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის N47 ბინაზე /საერთო ფართობი 38,66 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 25,88 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12,78 კვ.მ, ღია აივნის ფართობი 2,5 კვ.მ./ მოქალაქე ზაირა მაჩიტიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი — გ.თევდორაძე